ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#9

21 დეკემბერი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გვანცა გრძელიძე
გიორგი რობაქიძე
ვლადიმერ წიქორიძე
გურამ ჩხეიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
შალვა დათუაძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი: არჩილ გოგსაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსი: კახა გოგნაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს რამდენით მეტია საჭირო დახმარების პაკეტები 150ს ემატება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ ზუსტად ვერ გეთყვით ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია საკითხი, მაგრამ ვიცი დაემატა 35პაკეტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძემ განაცხადა, რომ ეს პაკეტები რომლებიც უნდა გადავცეთ დახმარების სახით ჩვენ როგორც საკრებულომ უნდა ვიცოდეთ რა პროდუქტით ვეხმარებით ახლა ვარკვევთ ამ ჩამონათვალს რა ღირებულება აქვს ამ ერთ პაკეტს ან რამდენი არის სულ პაკეტები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა განაცხადა,რომ სულ იქნება 450პაკეტი
კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ განაცხადა, რომ განვსაზღვროთ დახმარების პაკეტი ვისთან მიგვაქვს რა კატეგორიას ვეხმარებით

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7 წინააღმდეგი:0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:

1.გიორგი რობაქიძე
2. ვლადიმერ წიქორიძე
3. შალვა დათუაძე

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე